

შპს „ნიუ კონსტრაქშენი“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ზოგადი ინფორმაცია.....	3
ფინანსური ინფორმაციის მომზადების საფუძვლები.....	3
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	4
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	9
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	10
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	11
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	12
შენიშვნა #1.....	12
შენიშვნა #2.....	12
შენიშვნა #3.....	13
შენიშვნა #4.....	13
შენიშვნა #5.....	14
შენიშვნა #6.....	14

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ნიუ კონსტრაქშენი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2016 წლის 11 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სსიპ საჯარო რეეტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 405149085.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, გლდანის მასივი, მიკრო/რაიონი "ა", კორპუსი 69, ბინა N47

კომპანიის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირია ლევან ცოგოშვილი.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისათვის საზოგადოების მფლობელობა განაწილებულია ორ ფიზიკურ პირზე:

- ლევან ცოგოშვილი 50%
- მიხეილ უშარიძე 50%

ფინანსური ინფორმაციის მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) საფუძველზე.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სარეკომენდაციო მითითების საფუძველზე, 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისი შესადარისი ინფორმაციით 2021 წლის 31 დეკემბრისთვის;
- 2022 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას შესადარისი ინფორმაციით;
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს მოცემული პერიოდების შესადარისი ინფორმაციასთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი მუხლები (ასეთის არსებობისას) გადაყვანილია საანგარიშგებო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

➤ ფინანსური ინსტრუმენტები

ტერმინების განმარტებები:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვანოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლი. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კოტირებულ ფასზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის

ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ, როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

➤ **სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები**

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

➤ **ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ექვივალენტებში.

➤ **ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეცემული ტრანზაქციების ხარჯებით.

➤ **ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

➤ **ძირითადი საშუალებები**

ა) **თავდაპირველი აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ბ) **შემდგომი ხარჯები**

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

გ) **ცვეთა**

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	30 წელი
მანქანა დანადგარები	10-15 წელი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5-7 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
ავტომობილები	10 წელი

➤ არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (7 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

➤ მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

➤ შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან (მომსახურების გაწევიდან) მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

➤ ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან ან მომსახურების გაწევასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების

შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

➤ სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

➤ შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად გამოყენებულია ქართული ლარი.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2022 წლის 31 დეკემბერს და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

მნიშვნელოვანი საადრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. საადრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.
- **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემული ქართულ ლარებში)

	Notes	31-Dec-22	31-Dec-21
ძირითადი საშუალებები, წმინდა	1	39,737	45,223
არამატერიალური აქტივები, წმინდა		700	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		40,437	45,223
მარაგები		2,171	742,936
წინასწარგადახდები		1,854	-
წილი მეკავშირე საწარმოში	2	842,927	913,966
სავაჭრო მოთხოვნები		154,420	770
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	3,917,299	1,020,495
სხვა მოკლევადიანი აქტივები		782,807	-
მოკლევადიანი აქტივები		5,701,477	2,678,167
სულ აქტივები		5,741,914	2,723,390
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1,413,272	482,296
სულ კაპიტალი		1,413,272	482,296
გრძელვადიანი სესხები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი სესხები	4	-	113,334
საგადასახადო ვალდებულებები		46,709	104,431
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		23,395	-
გადასახდელი პროცენტი		-	-
გადასახდელი ხელფასები		-	7,095
მიღებული ავანსები		4,157,650	1,827,081
სავაჭრო ვალდებულებები		100,888	189,153
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,328,642	2,241,094
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5,741,914	2,723,390

დირექტორი:
ლევან ცოგოშვილი

ბუღალტერი:
ქეთევან შალიკაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემული ქართულ ლარებში)

	Notes	31-Dec-22	31-Dec-21
ძირითადი საშუალებები, წმინდა	1	39,737	45,223
არამატერიალური აქტივები, წმინდა		700	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		40,437	45,223
მარაგები		2,171	742,936
წინასწარგადახდები		1,854	-
წილი მეკავშირე საწარმოში	2	842,927	913,966
სავაჭრო მოთხოვნები		154,420	770
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	3,917,299	1,020,495
სხვა მოკლევადიანი აქტივები		782,807	-
მოკლევადიანი აქტივები		5,701,477	2,678,167
სულ აქტივები		5,741,914	2,723,390
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1,413,272	482,296
სულ კაპიტალი		1,413,272	482,296
გრძელვადიანი სესხები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი სესხები	4	-	113,334
საგადასახადო ვალდებულებები		46,709	104,431
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		23,395	-
გადასახდელი პროცენტი		-	-
გადასახდელი ხელფასები		-	7,095
მიღებული ავანსები		4,157,650	1,827,081
სავაჭრო ვალდებულებები		100,888	189,153
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,328,642	2,241,094
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5,741,914	2,723,390

დირექტორი:

ლევან ცოგოშვილი

ბუღალტერი:

ქეთევან შალიკაშვილი



სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხები მოცემული ქართულ ლარებში)

	Notes	2022	2021
რეალიზაცია	5	6,949,848	4,004,313
შემოსავალი რეალიზაციიდან		6,949,848	4,004,313
ადმინისტრაციული ხარჯი		(55,241)	(59,358)
გაყიდვების პირდაპირი დანახარჯები	6	(5,042,810)	(3,011,245)
შრომის ანაზღაურება		(374,373)	(1,329,369)
მიწოდების დანახარჯები		-	-
ცვეთა და ამორტიზაცია		(9,806)	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		-	-
სხვა ხარჯები		(35,754)	-
საოპერაციო მოგება		1,431,863	(395,659)
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯები		(16,631)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(44,248)	(20,941)
მოგება დაბეგვრამდე		1,370,985	(416,600)
მოგების გადასახადი		(4,883)	-
წმინდა მოგება		1,366,102	(416,600)
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,		-	-
გადასახადების გამოკლებით		-	-
მიღებული დივიდენდი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		1,366,102	(416,600)

დირექტორი:
ლევან ცოგოშვილი

ბუღალტერი:
ქეთევან შალიკაშვილი


სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხები მოცემული ქართულ ლარებში)

	Notes	2022	2021
რეალიზაცია	5	6,949,848	4,004,313
შემოსავალი რეალიზაციიდან		6,949,848	4,004,313
ადმინისტრაციული ხარჯი		(55,241)	(59,358)
გაყიდვების პირდაპირი დანახარჯები	6	(5,042,810)	(3,011,245)
შრომის ანაზღაურება		(374,373)	(1,329,369)
მიწოდების დანახარჯები		-	-
ცვეთა და ამორტიზაცია		(9,806)	-
სხვა შემოსულობები/(ხარალი) - წმინდა		-	-
სხვა ხარჯები		(35,754)	-
საოპერაციო მოგება		1,431,863	(395,659)
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯები		(16,631)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(44,248)	(20,941)
მოგება დაბეგვრამდე		1,370,985	(416,600)
მოგების გადასახადი		(4,883)	-
წმინდა მოგება		1,366,102	(416,600)
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,		-	-
გადასახადების გამოკლებით		-	-
მიღებული დივიდენდი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		1,366,102	(416,600)

დირექტორი:
ლევან ცოგოშვილი

ბუღალტერი:
ქეთევან შალიკაშვილი




ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა #1

ძირითადი საშუალებები, წმინდა	31-Dec-22	31-Dec-21
მანქანა-დანადგარები	103	17,517
ტრანსპორტი და სპეც. ტექნიკა	13,522	14,902
ნაგებობები	-	9,339
ოფისის აღჭურვილობა	4,917	2,766
მცირეფასიანი ინვენტარი	21,195	699
	39,737	45,223

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულების მეთოდით და კომპანიას ამ დრომდე არ გამოუყენებია აქტივების გადაფასების მიდგომა.

შენიშვნა #2

წილი მეკავშირე საწარმოში	31-Dec-22	31-Dec-21
შპს რუმს ფემილი	841,927	912,967
ამხანაგობა ალფა კონსტრაქშენი	1,000	1,000
	842,927	913,967

საანგარიშო პერიოდის ბოლოსა და შესადარისი პერიოდისათვის კომპანია ფლობდა ინვესტიციებს ორ მეკავშირე საწარმოში. ესენია შპს რუმს ფემილი (50% წილი) და ამხანაგობა ალფა კონსტრაქშენი (30% წილი). არცერთ კომპანიაში არ დგინდება ფაქტობრივი კონტროლის გარემოებები.

შენიშვნა #3

ფული და ფულის ეკვივალენტები	31-Dec-22	31-Dec-21
ნაღდი ფული სალაროში	41	0
ფული საბანკო ანგარიშებზე	3,917,258	1,020,495
	3,917,299	1,020,495

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისა და წინა წლის ანალოგიური თარიღისათვის კომპანიის ფულადი სახსრები წარმოდგენილი იყო შემდეგი სტრუქტურით.

შენიშვნა #4

მოკლევადიანი სესხები	31-Dec-22	31-Dec-21
მიმდინარე სესხი	-	113,334
გადასახდელი პროცენტები	-	-
	-	113,334

მოკლევადიანი სესხების მუხლში არსებული ნაშთი სრულად არის დაფარული 2022 წლის საანგარიშო პერიოდში. შესაბამისად, 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შპს ნიუ ქონსტრაქშენი არ ფლობს სასესხო ვალდებულებებს.

შენიშვნა #5

რეალიზაცია	31-Dec-22	31-Dec-21
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	6,949,848	4,004,313
	6,949,848	4,004,313

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოების წარმოება. 2022 წლის საანგარიშო პერიოდში ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები 73.5%-ით აჭარბებს წინა ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. საოპერაციო შემოსავლების ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა აისახა კომპანიის საქმიანობის შედეგებზეც და 2022 წლის საანგარიშო პერიოდი დაასრულა მოგებით (ნაცვლად 2021 წლის მაჩვენებლისა).

შენიშვნა #6

გაყიდვების პირდაპირი დანახარჯები	31-Dec-22	31-Dec-21
მასალები	(2,233,230)	(2,048,287)
სხვა დანარჩენი	(2,809,580)	(962,959)
	(5,042,810)	(3,011,245)